შპს თბილისი დრაი პორტი

TBILISI DRY PORT LLC

ს/კ 405483454
იურ. მის. თბილისი, აბაშელის ქ. 17
ფაქტიური მის. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 23-23ა
ID: 405483454
Legal Addr.: 17 Abasheli street, Tbilisi
fact.Addr. 23-23A Chavchavadze Avenue, Tbilisi

11/05/2022

No. 001/05

**სსიპ „გარემოს ეროვნულ სააგენტო"-ს**

გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ქინძმარაულის ქუჩაზე (№37) შპს „თბილისი დრაი პორტი"-ს დაგეგმილი აქვს მშრალი ტვირთების ტერმინალის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის განხორციელება, კომპანიის და სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 01.19.33.015.192, 01.19.33.015.050, 01.19.33.015.120, 01.19.33.015.195, 01.19.33.015.194, 01.19.33.015.219; 01.19.33.015.094, 01.19.33.015.131).

საპროექტო არეალი წარმოადგენს ჯამში 195591 $m^2$ ფართობს.

პროექტით დაგეგმილი ინფრასტრუქტურული განაშენიანების პროექტი მიზნად ისახავს ლოჯისტიკური ჰაბის ინფრასტრუქტურის მოწყობას და მის ოპერირებას. კერძოდ, კონცეფცია დაფუძნებულია მსოფლიოში გავრცელებული ე.წ მშრალი პორტის პრინციპზე, რაც გულისხმობს ფოთისა და ბათუმის საზღვაო პორტებში შემოსული ძირითადად კონტეინერების მეშვეობით ტვირთის რკინიგზით ტრანსპორტირებას თბილისის საპროექტო მშრალი ტვირთების ტერმინალში, სადაც შესაძლებელი იქნება სხვადასხვა სატრანსპორტო ოპერაციის ერთ ადგილზე განხორციელება (დაცლა, დატვირთვა, დასაწყობება, ალტერნატიულ სატრანსპორტო საშუალებაზე გადატვირთვა და სხვა).

პროექტის მოცემულ ტერიტორიაზე განხორციელების შედეგად მოხდება დაბინძურებული, დეგრადირებული ტერიტორიის აღდგენა ინდუსტრიულ ზონად, სატრანსპორტო და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, დამატებით სამუშაო ადგილების შექმნა და მშრალ პორტთან სიახლოვის ზეგავლენით მიმდებარე ტერიტორიის კომერციული დანიშნულებით განვითარება.

დაგეგმილი საქმიანობა მიეუკუთვნება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-2 დანართის 9.2. ქვეპუნქტით (10 ჰექტარზე მეტი განაშენიანების ფართობის მქონე ურბანული განვითარების პროექტი (მათ შორის, სავაჭრო ცენტრისა და 1 000 ავტომობილის ტევადობის ავტოპარკის მოწყობა)) და მე-2 დანართის 9.3. ქვეპუნქტით (საკონტეინერო ტერმინალისა და მასთან დაკავშირებული სარკინიგზო ხაზის მშენებლობა და ექსპლუატაცია) გათვალისწინებულ საქმიანობას და ამავე კოდექსის მე-7 მუხლის საფუძველზე ექვემდებარება სკრინინგის პროცედურის გავლას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის პროცედურის გავლის მიზნით, წარმოგიდგენთ შპს „თბილისი დრაი პორტი"-ს ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, მშრალი

13 05 2022
№ 1524

ტვირთების ტერმინალის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკრინინგის განცხადებას და ანგარიშს.

გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გასცეთ სკრინინგის გადაწყვეტილება.

წერილს თან ერთვის:

- სკრინინგის ელ. ვერსია - 1 ეგზემპლარი;
- საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS (გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა) კოორდინატები, shape ფაილის სახით - ელ. ვერსია;
- დანართი - დენდროლოგიური კვლევის ანგარიში.

პატივისცემით,

ნინო ნემსაძე

დირექტორი